ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3396642

ნომერი: AR1514903

თარიღი : 16.06.2017

გაცემის თარიღი : 13.07.2017

გაცნობის თარიღი : 13.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N27 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N27-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N 27 , (ნაკვ. 5/14) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა შანდორ პეტეფის , N 27 , (ნაკვ. 5/14) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლუკა ღუდუშაური პ/ნ 01008054066
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 45 კორ. 26 ბ. 4

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 14 აგვისტოს #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 16 ივნისს AR1514903 განცხადებით მომართეს ლუკა ღუდუშაურმა, გიორგი კენკებაშვილმა და მამია ჯაშმა რომლებმაც მოითხოვეს ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 14 აგვისტოს #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებში დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2007 წლის 14 აგვისტოს

№9298 ქალაქთმმშენებლობით პირობები დამტკიცებულია მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე) ფუნქციით, განაშენიანების საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ–საქმიანი (შერეული) ზონის პარამეტრებით და პირობებით. ასევე გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალფუნქციური შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით. ამის შემდეგომ, საპროექტო მიწის ნაკვეთი გაიმიჯნა 2 საკადასტრო ერთეულად და ხსენებულ პირობებში შევიდა ცვლილება და მიწის ნაკვეთის ფართობად მიეთითა - 3673 კვ.მ., საკადასტრო კოდად დაფიქსირდა - #01.17.10.005.063 და #01.17.10.005.064.
სამსახურის 2017 წლის 7 მარტის №3123933 ბრძანებით ისევ განხორციელდა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 14 აგვისტოს #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილება და საერთო ფართობად მიეთითა - 4276 კვ.მ., საკადასტრო კოდებად დაფიქსირდა - #01.17.10.005.063, #01.17.10.005.073, #01.17.10.005.082 და #01.17.10.005.075. ამის შემდგომ ნაკვეთების გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა ახალი საკადასტრო ერთეული 01.17.10.005.082.
ამჯამად, განმცხადებლები ითხოვენ, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 14 აგვისტოს #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს ფუნქცია – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, რომლის განთავსება უნდა მოხდეს N01.17.10.005.082 საკადასტრო კოდით დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე წარმოდგენილი სქემის მიხედვით სექტორ N3–ზე.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად,სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნილი ცვლილების ასახვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 14 აგვისტოს #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 14 აგვისტოს #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებში და საპროექტო ობიექტს დაემატოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
2. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 14 აგვისტოს #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებშს დაემატოს ჩანაწერი: ტერიტორიაზე ფუნქციების განვითარება შესაძლებელია განხორციელდეს: სექტორები N1 და N2 – მრავალფუნქციური კორპუსი/შენობა;
სექტორი N4 – მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა (კომერციული სავაჭრო);
სექტორი N3 – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
3. საპროექტო ობიექტის დასახელება დაფიქსირდეს შემდეგი რედაქციით: – „მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი, საოფისე) და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; შენიშვნის სახით დაემატოს ჩანაწერი: – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი განთავსდეს N01.17.10.005.082 საკადასტრო ერთეულზე; შენიშვნის სახით დაემატოს ჩანაწერი: – ტერიტორიაზე ფუნქციების განვითარება შესაძლებელია განხორციელდეს: სექტორები N1 და N2 – მრავალფუნქციური კორპუსი/შენობა; სექტორი N4 – მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა (კომერციული სავაჭრო); სექტორი N3 – მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; დაფიქსირდეს დამატებითი დოკუმენტი – წარმოდგენილი გენგეგმა (იხ. დანართი).
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 14 აგვისტოს #9298 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.